ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3841037

ნომერი: AR1573480

თარიღი : 29.01.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 28.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ნიკოლაიშვილი პ/ნ 01027012259
- თბილისი თ.აბაკელიას ქ. N 5 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1573480 განცხადებაზე №3807479 და №3828481 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

- განმცხადებლის უფლებამოსილების საკითხი კვლავ გაურკვეველია. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ახორციელებს სარეკონსტრუქციო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა. ვინაიდან, მოთხოვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ მესაკუთრის - შპს "დინო 2007"-ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიხეილ ხუნდაძის თანაგანმცხადებლად დარეგისტრირება ვერ ხერხდება, საჭიროა წარმოადგინოთ სს "ფუდმარტი"-ს სახელზე გაცემული მისი თანხმობა სარეკლამო ბრების განთავსების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.